საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030177817291921

№ 01-441/ო **08 / ნოემბერი / 2021 წ.**

SARS-COV-2 ტესტირების მიმწოდებელ დაწესებულებებში ინფექციის კონტროლის მონიტორინგის განხორციელებისა და შეფასების ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 63-ე მუხლის, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ინფექციის კონტროლის სისტემის მონიტორინგი SARS-COV-2 ტესტირების მიმწოდებელ იმ დაწესებულებებში, სადაც:

ა) 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2021 წლის 15 ოქტომბრამდე ჩატარებული ტესტების რაოდენობა აღემატება 2000-ს;

ბ) განსაკუთრებით მაღალია დადებითობის მაჩვენებელი (დადებითობა >10%-ს).

2. დამტკიცდეს თანდართული ,,SARS-COV-2 ტესტირების სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში ინფექციის კონტროლის შეფასების ინსტრუმენტი“.

3. დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) პოლიტიკის დეპარტამენტსა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს და სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, თანდართული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით განახორციელონ ინფექციის კონტროლის მონიტორინგი პირველი პუნქტის კრიტერიუმებით მერჩეულ დაწესებულებებში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე